ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39
2017 წლის 6 ივნისი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.105.016199) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 6 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ნანავა**

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	**თანამდებობათა დასახელება**	**თანამდებობათა სარგოები (ლარებში)**
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2400
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2000
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2000
	წამყვანი საჯარო თანამდებობა	
5	აპარატის უფროსი	2000
	უფროსი საჯარო თანამდებობა	

6	განყოფილების უფროსი	1500
7	მთავარი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1400
8	მთავარი სპეციალისტი გენდერულ საკითხებში	1400
9	მთავარი სპეციალისტი	1100

დანართი №2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ნუსხა
	საკრებულოს აპარატი	
1.	აპარატის უფროსი	1
	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილება	
2.	განაყოფილების უფროსი	1
3.	მთავარი სპეციალისტი	7
	საკრებულოს აპარატის საფინანსო, მატერიალურ და ტექნიკურ საკითხთა განყოფილება	
4.	განაყოფილების უფროსი	1
5.	მთავარი სპეციალისტი	4
	საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილება	
6.	განაყოფილების უფროსი	1
7.	მთავარი სპეციალისტი	5
	სულ	**20**